სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ივლისი №14

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.
Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4
ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-31

instruqcia / **Instructions** ----------32-39

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 40-57

auqcioni / **Auction** ---------- 58

gadasaxadebi #14, 2018

GADASAKHADEBI #14, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 96) 31^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით – სხვა პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ.

N3050-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 18.08.2014, სარეგისტრაციო კოდი: 450090050.05.001.017494) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), ხოლო საქმეს განიხილავს სასამართლო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 **ივლისი** 2018 **წ**.

N3051-**რს**

საქართველოს კანონი

„იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №9, 17.03.2005, მუხ. 60) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არაიოდირებული მარილის სამედიცინო მიზნით იმპორტირება დასაშვებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ნებართვის საფუძველზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. იოდირებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ იოდირებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ.

N3062-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურთან იქმნება საკონსულტაციო ფუნქციების მქონე სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისგან. მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი 2 ექსპერტი არასამთავრობო სექტორიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ.

N3061-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 390) მე-4 მუხლის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მინისტრი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;“;

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) კომპეტენტური ორგანო – ამ კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომლის სახელმწიფო კონტროლს, წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნასა და დებულების დამტკიცებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 **ივლისი** 2018 **წ**.

N3079-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №51, 31.12.2006, მუხ. 448) მე-4 მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მინისტრი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;“;

ბ) „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სააგენტო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური;

თ) სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი

N3082-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.04.2015, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.05.001.017705) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა.ა) პირის საქართველოს ფარგლების გარეთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით საქართველოდან დამოუკიდებლად გასვლასთან ან/და საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე განმახორციელებელი სუბიექტის დახმარებით გასვლასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;

ა.ბ) შრომითი მიგრაციის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დასადებად წინადადებებისა და პროექტების მომზადება;

ა.გ) შრომითი მიგრაციის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების და ანგარიშგებითი ვალდებულებების შესრულების კოორდინირება;

ა.დ) შრომითი მიგრაციის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო და ანალიტიკური საქმიანობების განხორციელების ხელშეწყობა;

ა.ე) შრომითი მიგრაციის სფეროში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრულ სოციალურ პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება;

ა.ვ) საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის საფუძველზე წარმოებული დოკუმენტაციის საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში გამოთხოვა;

ა.ზ) შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების გამოცემა;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-9 მუხლის:

ა) „ვ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.ბ) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების (ტერიტორიული ორგანოების ჩათვლით) ადგილმდებარეობისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ;“;

ბ) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) 5 წლის განმავლობაში შეინახოს ამ კანონის საფუძველზე წარმოებული დოკუმენტაცია (მათ შორის, დადებული ხელშეკრულებები) და, მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოსთვის მისი ხელმისაწვდომობა;

ი) განსაზღვრული პერიოდულობით, დადგენილი წესით წარუდგინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში;“.

3. მე-13 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კონსულტაციის მისაღებად შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოს აცნობოს თავისი განზრახვის შესახებ და წარუდგინოს უცხოელ დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ასლი ან/და ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი ასლი, თუ ეს ხელშეკრულება ქართულ ენაზე არ არის დადებული;

ბ) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების მისამართებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.“.

4. მე-14 მუხლის მე-2–მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის, ადმინისტრაციული სახდელის დადების და, საჭიროების შემთხვევაში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სააღსრულებო ფურცლის გამოწერისა და აღსასრულებლად წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ პირს.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს – გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

4. ამ თავით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.“.

5. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ამ კანონის საფუძველზე ინფორმაციის მიუწოდებლობა/ანგარიშის წარუდგენლობა

1. საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ამ კანონის საფუძველზე ინფორმაციის მიუწოდებლობა/ანგარიშის წარუდგენლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 **ივლისი** 2018 **წ**.

N3089-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.03.2018, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.05.001.018780) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) ზედამხედველი ორგანო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური.“.

2. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა. ამ პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

3. მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის დეტალური პროცედურები, აგრეთვე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესი და ფორმა, მოკვლევის პროცედურები, ანგარიშგების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

4. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების გამოცემას;“.

5. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-15 მუხლის მე-5 პუნქტითა და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 **ივლისი** 2018 **წ**.

N3090-**რს**

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.03.2018, სარეგისტრაციო კოდი: 200010000.05.001.018777) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებაზე, თუ შემოწმება ხორციელდება:

ო.ა) შერჩევითი კონტროლით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ;

ო.ბ) განმეორებითი შემოწმების მიზნით გონივრული ვადის ფარგლებში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ო.გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით.“.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ.

N3096-**რს**

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 38^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით 15 კალენდარული დღის განმავლობაში სულ მცირე 100 დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის (მასობრივი დათხოვნის) შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 45 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.“.

2. 48^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კოლექტიური დავა (დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის) უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე 20 დასაქმებული) ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას ან მედიაციას ერთ-ერთი მხარის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის (შემდგომ – მინისტრი) შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. 52^1 მუხლის მე-7 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 **ივლისი** 2018 **წ**.

N3114-**რს**

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018717) პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურესა და ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეზე;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ.

N3135-**რს**

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №354

2018 წლის 3 ივლისი, ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8401-9033 კოდებში მითითებული საქონლის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №431 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8401-9033 კოდებში მითითებული საქონლის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №431 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/09/2016, 190040000.10.003.019496) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8401-9033 კოდებში მითითებულ საქონლის ნუსხას“:

1. 8501 64 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფა:

„8502 31 900 00	-- დანარჩენი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 8514 40 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფა:

„8541 40 900 00	-- დანარჩენი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №356

2018 წლის 9 ივლისი, ქ. თბილისი

„ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/12/2017, 300160070.10.003.020230) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის 32-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მოწმდება მიღებული შედეგებისა და სატრანსპორტო საშუალების წარდგენილ რეგისტრაციის მოწმობაში მოყვანილი მონაცემების შესაბამისობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში დაცულ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მონაცემებთან.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №360

2018 წლის 10 ივლისი, ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართ №2-ს დაემატოს ველი და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი	70.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №365

2018 წლის 11 ივლისი, ქ. თბილისი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის საქართველოს 2018 და 2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა) ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოების პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული სურსათის უვნებლობის, მიკვლევადობის, კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა.

3. პროგრამის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და წარმოებული პროდუქტის პოპულარიზებაში ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (შემდგომში – კოოპერატივი) – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) პრეტენდენტი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) მონაწილე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

დ) დონორი – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში დაფარავს შესასყიდი მომსახურების განსაზღვრულ ნაწილს;

ე) ხელშეკრულება – მონაწილეს, სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და დონორს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც პროგრამის ფარგლებში განსაზღვრავს მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ვ) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP – Hazard Analysis and Critical Control Points) – სისტემა, რომელიც ემსახურება სურსათით გამოწვეული საფრთხეების დადგენასა და მათ პრევენციას;

ზ) ბრენდირება – ამ პროგრამის მიზნებისთვის ბრენდირება მოიცავს მონაწილის მიერ წარმოებული პროდუქციისთვის განკუთვნილი შეფუთვის დიზაინის, სასაქონლო ნიშნის, ლოგოს დიზაინისა და სხვა მარკეტინგული მასალების შექმნას;

თ) პროგრამაში ჩართვა – სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის (შემდგომში – სააგენტო) კოოპერატივების რეგისტრაციის სამსახურის (შემდგომში – უფლებამოსილი პირი) მიერ პრეტენდენტისათვის შეტყობინების გაგზავნა პროგრამით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) აღჭურვილობა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქტის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო მანქანა-დანადგარები.

მუხლი 3. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მხარდაჭერა

1. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვას;

ბ) ბრენდირებას.

2. ბრენდირების კომპონენტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, კოოპერატივს ასევე შეუძლია, მოითხოვოს წარმოებული პროდუქტის ბრენდირებისათვის/საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენაში თანადაფინანსება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების 10%-ს დაფარავს მონაწილე, 90%-ს კი – სააგენტო. დონორის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოსა და დონორის მიერ დასაფარი ოდენობა განისაზღვრება მათ შორის არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აღჭურვილობის ღირებულების 30%-ს დაფარავს მონაწილე, 70%-ს კი – სააგენტო, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. დონორის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოსა და დონორის მიერ დასაფარი თანხის ოდენობა განისაზღვრება მათ შორის არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსების თანხის მისაღებად მონაწილემ სააგენტოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დანადგარის შესყიდვის ინვოისი ქართულ ენაზე, რომელიც მოიცავს:

ა) აღჭურვილობის დასახელებას;

ბ) აღჭურვილობის ღირებულებას;

გ) მიწოდების პირობებს;

დ) საგარანტიო პირობებს;

ე) მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებს.

6. სააგენტოს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის მომწოდებლისთვის გადახდა ხდება მონაწილის მიერ ამ პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის გადახდისა და სააგენტოსათვის შესაბამისი დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. პროგრამაში მონაწილეობისათვის კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და უნდა შეასრულოს პროგრამის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

8. პროგრამის გეოგრაფიული არეალი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას.

მუხლი 4. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები

1. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

ა) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვისათვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციისთვის განკუთვნილი შეფუთვის დიზაინის, სასაქონლო ნიშნის, ლოგოს დიზაინისა და სხვა მარკეტინგული მასალების შექმნისათვის მომსახურების შესყიდვა.

2. დონორის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით განხორციელდება დონორის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება რეგისტრაციის პროცესის პარალელურად.

მუხლი 5. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი მოთხოვნები

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;

ბ) საკუთრებაში აქვს რძის გადამამუშავებელი საწარმო;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს კოოპერატივის ან/და მისი მეპაიეების მიერ წარმოებული/მიწოდებული რძის გადამუშავებას;

დ) განაცხადის წარდგენისას სააგენტოსაგან არ აქვს მიღებული რეკომენდაცია საქმიანობაში ხარვეზის გამოსწორების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კოოპერატივს მსგავსი რეკომენდაცია მიღებული აქვს განაცხადის წარდგენამდე და წარმოადგენს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ შესაბამის მტკიცებულებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;

ბ) პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადის წარდგენის თარიღისთვის აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს და ახდენს მის რეალიზაციას;

გ) განაცხადის წარდგენისას სააგენტოსაგან არ აქვს მიღებული რეკომენდაცია საქმიანობაში ხარვეზის გამოსწორების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კოოპერატივს მსგავსი რეკომენდაცია მიღებული აქვს განაცხადის წარდგენამდე და წარმოადგენს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ შესაბამის მტკიცებულებას;

დ) არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება.

მუხლი 6. საინფორმაციო კამპანია

1. პროგრამის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას მედიასაშუალებების, მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებისა თუ სხვა მექანიზმის გამოყენებით.

2. მოსახლეობასთან შეხვედრების მიზანს წარმოადგენს კოოპერატივების წევრებთან/პოტენციურ წევრებთან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი დანიშნულებისა და პრინციპების, ასევე პროგრამის არსისა და მასში მონაწილეობის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობაზე ელექტრონული განაცხადის წარდგენისა და განხილვის წესი

1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია ხორციელდება სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით (www.acda.gov.ge), სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, რომელიც არ უნდა იყოს ოც სამუშაო დღეზე ნაკლები.

2. რეგისტრაციის ფორმას განსაზღვრავს სააგენტო.

3. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პრეტენდენტმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;

ბ) ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის თაობაზე;

გ) ცნობა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოდან კოოპერატივის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების (ძროხა, ცხვარი) შესახებ;

დ) ცნობა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოდან ბიზნესოპერატორის აღიარების/დროებითი აღიარების შესახებ;

ე) რძისა და რძის პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ხელშეკრულებები ან/და მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, საგადასახადო ანგარიშფაქტურები, მოგების გადასახადის დეკლარაცია, საბაჟო დეკლარაციები).

4. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პრეტენდენტმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;

ბ) ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის თაობაზე;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ხელშეკრულებები ან/და მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, საგადასახადო ანგარიშფაქტურები, მოგების გადასახადის დეკლარაცია, საბაჟო დეკლარაციები).

5. რეგისტრაციის დროს პრეტენდენტის მიერ შესაბამისი მონაცემების არასწორად წარდგენის შემთხვევაში, მას უფლებამოსილი პირი უგზავნის შეტყობინებას ხარვეზის არსებობასთან დაკავშირებით, რომლის გამოსასწორებლად განესაზღვრება არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. შეტყობინების გაგზავნა ხდება პრეტენდენტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება შეტყობინების გაგზავნის მომდევნო სამუშაო დღეს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე პრეტენდენტის მიერ ხარვეზის არასათანადოდ აღმოფხვრის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი მას დამატებით უგზავნის შეტყობინებას ხარვეზის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა თავდაპირველად დადგენილ ვადაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

7. წარდგენილი განაცხადების განხილვის შემდეგ ხდება უფლებამოსილი პირის მიერ პრეტენდენტის პროგრამაში ჩართვა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. უფლებამოსილი პირის მიერ პრეტენდენტთა პროგრამაში ჩართვა ხორციელდება უხარვეზო განაცხადის რიგითობის მიხედვით, პროგრამით განსაზღვრული ბიუჯეტის ამოწურვამდე.

9. პრეტენდენტი, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ ბიუჯეტის ამოწურვის გამო ვერ ერთვება პროგრამაში, გადადის რეზერვში. რეზერვში არსებული პრეტენდენტების პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია, თუ რომელიმე მონაწილე განაცხადებს უარს პროგრამაში მონაწილეობაზე, არ შეასრულებს ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას ან/და პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის გაზრდის შემთხვევაში.

10. რეზერვში არსებული პრეტენდენტების პროგრამაში ჩართვა ხდება უხარვეზო განაცხადების რიგითობის მიხედვით.

მუხლი 8. მონაწილესთან ხელშეკრულების გაფორმება

1. პროგრამაში ჩართვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში მონაწილეს, სააგენტოსა და დონორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის ფორმდება ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილემ უნდა შეასრულოს შემდეგი ვალდებულებები:

ა) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ამ პროგრამით განსაზღვრული თანადაფინანსების შესაბამისი ღირებულება საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

ბ) ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიღებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი;

გ) დროულად და ჯეროვნად შეასრულოს მომსახურების გამწევი ორგანიზაციის მითითებები;

დ) დაიცვას ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების სხვა მოთხოვნები.

მუხლი 9. მონაწილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

1. მონაწილის მიერ ამ პროგრამითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მას განესაზღვრება შესაბამისი ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. მონაწილე ვალდებულია, აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დაწესებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, წყდება მონაწილესთან დადებული ხელშეკრულება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს სააგენტოს მიერ მომსახურების შესყიდვისათვის გაწეული თანხის სრულად დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი

1. პრეტენდენტის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საველე ან/და დოკუმენტურ მონიტორინგს უზრუნველყოფს სააგენტო.

2. საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს ექვემდებარება როგორც პრეტენდენტი, ასევე მონაწილე პროგრამის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №366

2018 წლის 11 ივლისი, ქ. თბილისი

„მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2015, 010110020.10.003.019058) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის 8.3 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.4 გრაფა:

„

8.4		საწისქვილო	სოფელი	

“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ის პირები, რომლებსაც ამ დადგენილებაში მითითებულ სოფელში 2018 წელს მიენიჭებათ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №368

2018 წლის 11 ივლისი, ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში (სსმ III, 2010 წელი, მუხლი 1827) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. **დანართ №2-ის („აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება“) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26^1 პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **დანართ №4-ის („აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება“) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 26^1 პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M^1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა.“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 7 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №369

2018 წლის 11 ივლისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5	გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება	ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი; სხვა პირებისათვის: 12 თვემდე (მე-12 თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 10 000 ლარი; 12 თვეზე მეტი და 24 თვემდე (24-ე თვის ჩათვლით) პერიოდის შემოწმებისათვის – 20 000 ლარი; 24 თვეზე მეტი პერიოდის შემოწმებისათვის – 30 000 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №280

2018 წლის 24 ივლისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. **დანართი №II-06-ის**:

ა) III ნაწილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „დეკლარაციის დანართი „ა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. **38-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ე^1“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე^1) 20^1 უჯრაში – ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საქონლის (შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის, შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების, გარდა შავი ლითონის სხმულების, ზოდების, ნაგლინის, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში), მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 133^3 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. 39[3] **მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი;

ბ) შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი;

შენიშვნა: შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართად და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენად (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშობა ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის (მათ შორის, მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.

ამასთან, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულს და ნახევარფარბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დეკლარაციის დანართი „ა“

საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემები

		შემოსავლის მიმღებ პირთა დასახელება	გაცემის თარიღი	განაცემის სახე	განაცემის ოდენობა	შეღავათის ოდენობა	წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის განაკვეთი	გადასახადი (ლარი)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	
	რეზიდენტ ფიზ.პირებზე განაცემები:								
1	1.1 დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები								
	1.2 ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავლები იბეგრება:								
	1.2.1 20%-ით								
	1.2.2 5 %-ით								

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	1.2 1 ფიზიკური პირები, რომელთა მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 133 [3] მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით								
	1.3 სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირი								
	1.4 სხვა ფიზიკური პირები								
2	რეზიდენტ ორგანიზაციებზე განაცემები:								
3	არარეზიდენტებზე განაცემები								
	3.1 შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირები								
	3.2 შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული ფიზიკური პირები								

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3.3 საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირები								
3.4 საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირები								

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ნაწილი III

ნაწილი III				
განაცემის დასახელება			(თანხა)	
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება. მათ შორის:		16		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)		17		
რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი როიალტი		18		
ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა):	რომელიც იბეგრება 20%-ით;	19		
	რომელიც იბეგრება 5%-ით	20		
ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 133[3] მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით		20 [1]		
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა)		21		
ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, მათ შორის:		22		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)		23		
ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, მათ შორის:		24		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)		25		
ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება		26		
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (გარდა პროცენტებისა და დივიდენდებისა), მათ შორის:		27		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	28		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	29		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	30		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	31		
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		32		
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გამოკლებით), რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			33		
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	34		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	35		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	36		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	37		
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		38		
ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (მე-17 – მე-20, 20^1, 21-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე,34-ე – 38-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი),			39		
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები, მათ შორის:			40		
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	41		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	42		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	43		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	44		
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		45		
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%);			46		
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%);			47		
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების გამოკლებით) მათ შორის:			48		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	49		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	50		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	51		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	52		
	1^1 ნაწილით (განაკვეთი 15%)		53		
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%);			54		
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%);			55		
გადახდის წყაროსთან ორგანიზაციებისათვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე – 55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)			56		
სულ ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი (39-ე და 56-ე უჯრებში ასახული თანხების ჯამი) მათ შორის:			57		
აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			571		
აფხაზეთის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			572		
ინფორმაციისათვის					
მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება			58		
სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი			59		
საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ოდენობა			60		
ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა			61		
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას			62		
ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა, მათ შორის:			63		
საკონტროლო-სალარო აპარატების საშუალებით			64		
მაქსიმალური ხელფასი			65		
მინიმალური ხელფასი			66		
ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის			67		
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა			68		
პირთა რაოდენობა, რომელზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა			69		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №16953

2018 წლის 3 ივლისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანების პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №2):

ა.ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. **დეპარტამენტის ფუნქციები**

1. დეპარტამენტი სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე უზრუნველყოფს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) დონორ ორგანიზაციებთან, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ურთიერთობის წარმოებას, ოფიციალურ მიმოწერას და მათთვის სამსახურის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებას;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სარეიტინგო კვლევების შესწავლასა და ანალიზს, ასევე შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

დ) საერთაშორისო პროექტების მოძიებას, მომზადებას, შეთანხმებასა და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ე) საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპულ ორგანიზაციაში (IOTA), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში (WCO), საგადასახადო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო პლატფორმებში, საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმში (FTA), ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში და აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამსახურის წარმომადგენლობას;

ვ) საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინაციას;

ზ) საქართველოსათვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობას, ამ მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავებას;

თ) საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის მიზნით, სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, წინადადებების შემუშავებას, ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროგრამების შესრულების კოორდინაციას, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის/რეკომენდაციების შესწავლასა და ანალიზს;

ი) საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და ღონისძიებებზე, უცხოეთში სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე კანდიდატთა შერჩევის მხარდაჭერას, რაც მოიცავს ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიცირებას, მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის დასმას, საჭიროების შემთხვევაში კანდიდატთან გასაუბრებას და მისი მონაწილეობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას;

კ) სამსახურის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე;

ლ) უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სახელმწიფოთა ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დაინტერესებულ უცხო პირთა დელეგაციების საქართველოში ვიზიტის, აგრეთვე უცხო ქვეყანაში სამსახურის დელეგაციის ვიზიტის ორგანიზებას, დღის წესრიგის, პროგრამის შედგენასა და საპროტოკოლო ღონისძიებების განხორციელებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მ) საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების პროტოკოლის სამსახურებთან თანამშრომლობას;

ნ) ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვეკომიტეტში საკითხების წარდგენასა და კოორდინაციას შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სახელმწიფო უწყებებთან და ევროკავშირის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან;

ო) საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების შესახებ უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სახელმწიფოთა ორგანოებთან და გადასახადის გადამხდელთან მოლაპარაკების პროცესში წარმომადგენლობას;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემას;

ჟ) სამსახურის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

2. დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტანდარტებისა და პროცედურების, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას;";

ა.ბ) მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს მე-5 და მე-6 მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. დეპარტამენტის სტრუქტურა

ა) საერთაშორისო საბაჟო, სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის თანამშრომლობის სამმართველო;

ბ) საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის სამმართველო.

მუხლი 6. დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. საერთაშორისო საბაჟო, სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის თანამშრომლობის სამმართველო დეპარტამენტის ფუნქციის გათვალისწინებით საერთაშორისო საბაჟო, სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის საკითხებზე უზრუნველყოფს:

ა) დონორ ორგანიზაციებთან, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ურთიერთობის წარმოებას, ოფიციალურ მიმოწერას და მათთვის სამსახურის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების მომზადებას;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სარეიტინგო კვლევების (მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსის კომპონენტი „ვაჭრობა საზღვრებს შორის"/ World Bank Doing Business index component on „Trading Across Borders"; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინდექსი „ვაჭრობის ხელშეწყობის ინდიკატორები" (OECD index on „Trade Facilitation Indicators") შესწავლასა და ანალიზს, ასევე შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) საერთაშორისო პროექტების მოძიებას, მომზადებას, შეთანხმებასა და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ე) მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ შემუშავებული სხვადასახვა საერთაშორისო ინსტრუმენტების იმპლემენტაციის მხარდაჭერა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე; მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) შესაბამის მონაცემთა ბაზებთან (CEN, n-CEN, CTS etc.) წვდომის და ინფორმაციის განთავსების კოორდინაციას;

ვ) საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და ღონისძიებებზე, უცხოეთში სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე კანდიდატთა შერჩევის მხარდაჭერას, რაც მოიცავს მსგავსი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიცირებას, მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის დასმას, საჭიროების შემთხვევაში კანდიდატთან გასაუბრებასა და მისი მონაწილეობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას;

ზ) საქართველოსათვის სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა და კოორდინაცია, ამასთან კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის/რეკომენდაციების შესწავლასა და ანალიზს;

თ) ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული მე-4 კარის პირველი თავის პირველი, მე-5 თავით, პირველი და მე-2 ოქმებით გათვალისწინებული ვალდებულებების, მე-13 დანართში მითითებულ საბჭოს დირექტივებთან, რეგულაციებთან მიახლოებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო კონვენციების იმპლემენტაციის მხარდაჭერა, მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა და პროცესის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ამასთან შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სამოქმედო გეგმის კოორდინაციას;

ი) ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების სანიტარიულ, ფიტოსანიტარიული, ვეტერინალური სასაზღვრო კონტროლის პროცედურებთან დაკავშირებული მე-4 კარის IV თავით გათვალისწინებული ვალდებულებების, სურსათის უვნებლობის სფეროში დასაახლოებელი ევროკავშირის კანონმდებლობის ჩამონათვალით გათვალისწინებული საბჭოს დირექტივებთან, რეგულაციებთან მიახლოებული ნორმატიული აქტების იმპლემენტაციის მხარდაჭერა, მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა და პროცესის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ამასთან შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სამოქმედო გეგმის კოორდინაციას;

კ) უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სახელმწიფოთა ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დაინტერესებულ უცხო პირთა დელეგაციების საქართველოში ვიზიტის, აგრეთვე უცხო ქვეყანაში სამსახურის დელეგაციის ვიზიტის ორგანიზებას, დღის წესრიგის, პროგრამის შედგენასა და საპროტოკოლო ღონისძიებების განხორციელებას;

ლ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის სამმართველო დეპარტამენტის ფუნქციის გათვალისწინებით საერთაშორისო საგადასახადო საკითხებზე უზრუნველყოფს:

ა) „საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ“, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ და საგადასახადო თემატიკის გათვალისწინებით სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმებების პროექტების მომზადებისა და დადების პროცესში მონაწილეობის მიღებას, ასევე მათი იმპლემენტაციის მიზნით მოქმედებათა განხორციელების კოორდინაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპულ ორგანიზაციასა (IOTA) და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო პლატფორმებში, საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმში (FTA), ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამსახურის წარმომადგენლობას;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განხორციელებული სარეიტინგო კვლევების (მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსის კომპონენტი World Bank Doing Business index component on „Paying Taxes“ შესწავლა და ანალიზი, ასევე, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

დ) საერთაშორისო პროექტების მოძიებას, მომზადებას, შეთანხმებასა და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ე) საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინაციას, ქვეყნისთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობას, ამ მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის მიზნით, სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, წინადადებების შემუშავებას, ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროგრამების შესრულების კოორდინაციას, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის/რეკომენდაციების შესწავლასა და ანალიზს;

ზ) საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და ღონისძიებებზე, უცხოეთში სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე კანდიდატთა შერჩევის მხარდაჭერას, რაც მოიცავს მსგავსი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიცირებას, მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის დასმას, საჭიროების შემთხვევაში კანდიდატთან გასაუბრებას;

თ) სამსახურის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე;

ი) უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სახელმწიფოთა ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დაინტერესებულ უცხო პირთა დელეგაციების საქართველოში ვიზიტის, აგრეთვე უცხო ქვეყანაში სამსახურის დელეგაციის ვიზიტის ორგანიზებას, დღის წესრიგის, პროგრამის შედგენასა და საპროტოკოლო ღონისძიებების განხორციელებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების პროტოკოლის სამსახურებთან თანამშრომლობას;

ლ) ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების საგადასახადო თავით და 22-ე დანართით განსაზღვრული ვალდებულებების იმპლემენტაციის მხარდაჭერად, მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობასა და პროცესის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველყოფას, შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სამოქმედო გეგმის კოორდინაციას;

მ) საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების შესახებ უცხო ქვეყნის უფლებამოსილ სახელმწიფოთა ორგანოებთან და გადასახადის გადამხდელთან მოლაპარაკების პროცესში წარმომადგენლობას;

ნ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.";

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების" (დანართი №3) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების ან/და შესაბამისი წინადადებების იურიდიული დეპარტამენტებისათვის წარდგენას;";

გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის დებულების" (დანართი №7):

გ.ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტანდარტებისა და პროცედურების, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას.";

გ.ბ) მე-6 მუხლის:

გ.ბ.ა) პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ბ.ბ) მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების" (დანართი №8):

დ.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

დ.ა.ა) „ე^{2}" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე^{3}" და „ე^{4}" ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე3) კანონმდებლობით დადგენილი წესით „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" განხილვას (გარდა ელექტრონულად წარმოდგენილი მოთხოვნისა, რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს) და შესაბამის რეაგირებას. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე[4]) არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსულობის) სახით გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;";

დ.ა.ბ) „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებების მომზადების, ჩატარების და მათი შედეგების შეფასების კომპლექსური პროცედურული სტანდარტების თაობაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტისთვის წარდგენას;";

დ.ა.გ) „ო" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სტანდარტებისა და პროცედურების, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას;";

დ.ა.დ) „პ[2]" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „პ[3]" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ[3]) გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციების მონაცემების დამუშავებას;";

დ.ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო.";

დ.გ) 9[2] მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.დ) 9[3] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 93. საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო

საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო ახორციელებს:

ა) შესაბამის შემთხვევებში, საგადასახადო დეკლარაციების კონტროლს, ასევე, ამ დებულების მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" განხილვასა და შესაბამისი რეაგირებას. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;

გ) არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსულობის) სახით გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის.";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ.ე) მე-10 მუხლის:

დ.ე.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შემოწმებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი/მოწოდებული მონაცემების (დეკლარაციების, ინვოისების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, ზედნადებების და სხვა) სისტემატიზებული ელექტრონული ბაზის წარმოება;“;

დ.ე.ბ) „ნ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ[1]) დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგებზე შედგენილი აქტებიდან ,,შემთხვევითობის პრინციპით“ დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოსათვის გადასაცემი აქტების შერჩევა არსებული წესის მიხედვით ხარისხის კონტროლის განსახორციელებლად;“;

დ.ე.გ) „ნ[2]“, „ნ[3]“, „ნ[4]“ და „ო“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ.ვ) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის:

დ.ვ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საგადასახადო მონიტორინგის გეგმის მომზადება, თითოეული ობიექტის მიხედვით საგადასახადო მონიტორინგის დაწყების თარიღის, ხანგრძლივობის, სამუშაო გრაფიკის, საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობის სახის/სახეების, საგადასახადო მონიტორინგის ტიპის, საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების კონკრეტული ადგილის ან/და ეკონომიკური საქმიანობის პერიმეტრის/მოძრაობის მარშრუტისა და განრიგის განსაზღვრა;“;

დ.ვ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საგადასახადო მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა აუცილებელი ტექნიკური საშუალებების (მათ შორის, ვიდეოკონტროლი, მრიცხველები, ნიშანდებები და სხვა) გამოყენებით;“;

დ.ზ) მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.თ) მე-17 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9):

ე.ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტანდარტებისა და პროცედურების, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას.“;

ე.ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ე) აღრიცხვის და სტატისტიკის სამმართველო;“;

ე.გ) მე-8 მუხლის:

ე.გ.ა) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.გ.ბ) მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.გ.გ) მე-3 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.დ) მე-9 მუხლის:

ე.დ.ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ცვლილებისა და სიახლეების თაობაზე გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება;“;

ე.დ.ბ) „ვ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე.ე) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.ვ) მე-11 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.ზ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. აღრიცხვის და სტატისტიკის სამმართველო

აღრიცხვის და სტატისტიკის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) მომსახურე ბანკის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოში შემენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის (tax free) ბანკისთვის დაბრუნება; შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და მისი წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;

ბ) არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსულობის) სახით გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე არსებული ზედმეტობების სხვა გადასახადების ანგარიშზე გადატანის მიზნით ან სხვა შემოსულობების სახეში გადატანის ან/და ბიუჯეტის კოდის არასწორი სიმბოლოებით ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვის შემთხვევაში შეცდომის გასწორების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და მისი წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;

გ) გადასახადის გადამხდელის მიერ შეცდომით გადახდილი თანხების გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ასახვის მიზნით შესაბამისი რეაგირების განხორციელება. მოთხოვნის შემთხვევაში უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გადაფარვის შესახებ შეტყობინების გაცემა;

დ) სახელმწიფო ხაზინიდან ინფორმაციის მიღება გადასახადის გადამხდელების/სხვა ვალდებული პირების მიერ შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხული გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ და აღნიშნული მონაცემების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგის მონაცემების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში; ცალკეულ შემთხვევებში საბაჟო კუთხით პირადი აღრიცხვის ბარათების შემოწმება;

ვ) თანხის დარიცხვის/შემცირების თაობაზე სათანადო წესით გაფორმებული დასკვნების მომზადება და სავარაუდო დარიცხვების განხორციელება, დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) სამართალდარღვევის ოქმების ან/და ბრძანებების გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ასახვა და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება;

თ) გადახდისუუნარობის/რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე გადასახადის გადამხდელების პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოება, ინფორმაციის მომზადება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის მიწოდება;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით „საგადასახადო მოთხოვნის“ მომზადება;

კ) მონაცემთა ბაზებიდან სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ინფორმაციის მომზადება;

ლ) განხორციელებული სასაქონლო ოპერაციების შესახებ ცნობის გაცემა;

მ) საქონელზე ან/და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო (საბაჟო) კონტროლის ფაქტის არსებობა/არარსებობის თაობაზე ცნობის გაცემა;

ნ) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშების მიღება, კომპეტენციის ფარგლებში მათი სისტემატიზაცია;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით შემოსული განცხადებების დამუშავება და დადგენილი წესით სათანადო პასუხების მომზადება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ჟ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.“;

ე.თ) მე-14 მუხლის:

ე.თ.ა) პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.თ.ბ) მე-2 პუნქტის:

ე.თ.ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სანებართვო პირობების კონტროლის შედეგების ელექტრონულ ბაზაში ასახვა;“;

ე.თ.ბ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ^1“ და „ბ^2“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, ნებართვის მფლობელი/მაძიებელი პირის მიერ მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ობიექტის დათვალიერება, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნების კონტროლის და ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობის გადამოწმების მიზნით;

ბ[2]) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;“;

ე.თ.ბ.გ) „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №10):

ვ.ა) მე-5 მუხლის:

ვ.ა.ა) პირველი პუნქტის „მ[2]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ[2]) პოტენციური დღგ-ის გადამხდელ პირთა გამოვლენას, გადამხდელებთან კომუნიკაციას წარმოსადგენ დეკლარაციასთან დაკავშირებით, იმ პირთა გამოვლენას, რომელთაც არ განუხორციელებიათ დეკლარირება;“;

ვ.ა.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტანდარტებისა და პროცედურების, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას.“;

ვ.ბ) მე-9 მუხლის:

ვ.ბ.ა) პირველი პუნქტის:

ვ.ბ.ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ.ბ.ა.ბ) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ი1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი[1]) დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფა; განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგებზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და დეპარტამენტის უფროსისთვის წარდგენა;“.

ვ.ბ.ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ.გ) 11[1] მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ.ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: სოსო (კოზა) აბზიანიძის ქუჩა №4.“;

ზ.ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ზ.ბ.ა) „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ს^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს^{1}) საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვის ან სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვის განხორციელებას, ასევე, ელექტრონულ სისტემაში ჩართული ავტოსადგომის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების შესრულებაზე კონტროლს;“;

ზ.ბ.ბ) „წ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „წ^{1}“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენას;“;

ზ.ბ.გ) „ჭ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჭ^{2}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჭ^{2}) დამატებით დარიცხული/შემცირებული გადასახადის, საურავის და ფულადი ჯარიმის თანხების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვას (დარიცხვა, შემცირება);“;

ზ.გ) მე-8 მუხლის:

ზ.გ.ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა1“ და „ა^{2}“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა^{1}) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო და საოპერაციო გეგმების მომზადების ორგანიზება;

ა^{2}) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო და საოპერაციო გეგმებისა და სხვადასხვა სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და საჭიროებისამებრ წარდგენა;“;

ზ.გ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ^{1}) მომსახურების ხარისხისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით მომსახურებისა და პროგრამული მოდულების დანერგვა/გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;“;

ზ.გ.გ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ე1) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებსა და პროექტებში დეპარტამენტის ჩართულობის პროცესის მართვა;“;

ზ.გ.დ) „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.დ) 8^2 მუხლის:

ზ.დ.ა) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.დ.ბ) „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ლ^1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ^1) საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვის ან სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვის განხორციელება, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, ელექტრონულ სისტემაში ჩართული ავტოსადგომის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების შესრულებაზე კონტროლი;“;

ზ.დ.გ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „უ^1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ^1) შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დამატებით დარიცხული/შემცირებული გადასახადის, საურავის და ფულადი ჯარიმის თანხების გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ასახვა (დარიცხვა, შემცირება);“;

ზ.ე) მე-10 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ზ.ვ) 16^1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ^1“ და „ბ^2“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ^1) შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემებში დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომელთა დაშვებისა და დაშვების გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, დაშვების ტექნიკური უზრუნველყოფა და სისტემაში სამუშაოდ საჭირო სხვა ცვლილებების ტექნიკური განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ^2) „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად კანდიდატის განცხადების განხილვა-ანალიზი, „ოქროს სიის“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;“.

თ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №14):

თ.ა) მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.ბ) მე-8 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ო^1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ო[1]) გადამხდელთა რეგისტრაციის, მომსახურების, განათლების, საგადასახადო აუდიტის, მიმდინარე კონტროლისა და სხვა პროგრამების საოპერაციო დაგეგმვა.“;

თ.გ) მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.დ) 10[2] მუხლი ამოღებულ იქნეს;

თ.ე) მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №15) მე-3 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების ან/და შესაბამისი წინადადებების იურიდიული დეპარტამენტებისათვის წარდგენას.“;

კ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №16) მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების ან/და შესაბამისი წინადადებების იურიდიული დეპარტამენტებისათვის წარდგენას;“;

ლ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №19):

ლ.ა) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ე[1]) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;“;

ლ.ბ) მე-5 მუხლს დაემატოს „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) გადამხდელთა განათლების და მომსახურების მეთოდოლოგიის სამმართველო;

ე) ზოგადი ადმინისტრირების მეთოდოლოგიის სამმართველო.“;

ლ.გ) მე-6 მუხლის:

ლ.გ.ა) პირველი პუნქტის:

ლ.გ.ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კომპეტენციის ფარგლებში, სიტუაციური და პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება;“;

ლ.გ.ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დ[1]) საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების შერჩევასთან, მათ დანერგვასა და სრულყოფასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება;“;

ლ.გ.ა.გ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე[1]) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;“;

ლ.გ.ბ) მე-2 პუნქტის:

ლ.გ.ბ.ა) „თ“, „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ლ.გ.ბ.ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „მ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ[1])კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;“;

ლ.გ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბაჟო მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) შემოსავლების სამსახურის მიერ იმპორტის გადასახდელების (იმპორტი გადასახადი, აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი) ადმინისტრირების პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავება, ასევე შემუშავებული რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების განახლება;

ბ) საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავება, ასევე შემუშავებული რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების განახლება;

გ) საგადასახადო შეღავათების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავება, ასევე შემუშავებული რეკომენდაციებისა, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების განახლება;

დ) საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავება, ასევე შემუშავებული რეკომენდაციებისა, პროცედურული ან/და სიტუაციური სახელმძღვანელოების განახლება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტებიდან შემოსული წინადადებების, წინადადებების, დავების განმხილველი ორგანოების (მათ შორის, სასამართლოს) გადაწყვეტილებებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) კომპეტენციის ფარგლებში, გადამხდელთა მომსახურების სტანდარტების, სახეობების, პროცედურებისა და ტექნოლოგიების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

კ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე წინადადებების მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

მ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.";

ლ.გ.დ) დაემატოს მე-4 და მე-5 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გადასახადის გადამხდელთა განათლებისა და მომსახურების მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) გადასახადის გადამხდელთა განათლების პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

ბ) გადასახადის გადამხდელთა მომსახურების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა და მომსახურების პროცედურების შემუშავება, განახლება და დახვეწა.;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელთა მომსახურების სხვადასხვა მიმართულებებთან დაკავშირებით განსახორციელებელი პროცედურების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;

დ) გადამხდელთა მომსახურების სტანდარტების, სახეობების, პროცედურებისა და ტექნოლოგიების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

ე) უკმაყოფილო გადამხდელების მიერ დაფიქსირებული საჩივრების პერიოდული ანალიზი შესაბამისი მეთოდოლოგიის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

ვ) გადამხდელების კმაყოფილების კვლევების შედეგად დაფიქსირებული მომსახურების ხარისხისა და პროცედურების სისუსტეებისა და ხარვეზების ანალიზი და გაუმჯობესების პროექტების დამუშავება/განხორციელება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელთა მომსახურების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მისი დანერგვის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

თ) გადასახადის გადამხდელთან საკომუნიკაციო ფორმების ანალიზი, მათი სრულყოფის მიზნით წინადადებების მომზადება და შესაბამისი პროექტების შემუშავება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა და მათ დასანერგად წინადადებების შემუშავება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების უზრუნველყოფა;

ნ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

5. ზოგადი ადმინისტრირების მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

ბ) საგადასახადო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

დ) გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის პროცედურებთან და მონაცემთა ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

ე) საგადასახადო დავებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების მეთოდური უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების უზრუნველყოფა;

კ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.";

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

08.08.2018

2018 წლის 8 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 73 930 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.220 პროცენტით, მაქსიმალური 7.270 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.265 პროცენტითგანისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.500 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

08.08.2018

2018 წლის 8 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 38 736 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.080 პროცენტით, მაქსიმალური 7.170 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.133 პროცენტითგანისაზღვრა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com